

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის
დადგენილება № 1014

ცვლილებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ
დებულებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებულ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დოქტორანტთა სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა – 5 კრედიტი;
- კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებულ სპეცკურსები – 20 კრედიტი;
- ორი თემატური სემინარი – 30 (15+15) კრედიტი;

ბ) სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების დანართ 1-ში და დანართ 2-ში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

გ) დებულების მე-3 დანართში „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

გ.ა.) 2.1.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

- სასწავლო კურსს სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა– 5 კრედიტი;
- სასწავლო კურსს კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულების შესაბამის სასწავლო კურსებს, რაც გულისხმობს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სპეციალური და მომიჯნავე საგნის/საგნების სიღრმისეულ სწავლებას – 20 კრედიტი;
- ორ თემატურ სემინარს - 30 (15+15) კრედიტი.

გ.ბ) პუნქტი 2.3 პროფესორის ასისტენტობა - ამოღებულ იქნეს;

გ.გ) ამოღებულ იქნეს შეფასების წესის დანართი 1. კრედიტების განსაზღვრის პრინციპი პროფესორის ასისტენტობისთვის და დანართი 2. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები.

2. ცვლილებები ძალაში შევიდეს 2014/15 სასწავლო წლიდან ჩარიცხული კონტინგენტისათვის.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა.ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ.სალუქვაძე

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი	
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები	20	10	15	15	-	-
1		სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	5					
2		კვლევის მეთოდები	5					
3		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები	10	10				
4	-	პირველი თემატური სემინარი			15			
5	-	მეორე თემატური სემინარი				15		
		კვლევითი კომპონენტები	10	20	15	15	30	30
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10					
2	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20				
3	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 1			15			
4	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 2				15		
5	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 3					30	
6	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30
		სასწავლო წელს	60		60		60	